# ხაშურის მოამბე

№2 (284) 8 თებერვალი, ორშაბათი, 2021 წელი


## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2 თებერვალს, ხაშურში, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი. სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა განიხილეს და დაამტკიცეს დღის წესრიგის თერთმეტი საკითხი. თავდაპირველად,რიგი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკრებულომ ცვლილებები შეიტანა 2020 წლის 16 დეკემბრის დადგენილებაში "ხაშურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ". ამავე სხდომაზე დამტკიცდა ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი და მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის მოხელეთა 2021 წლის სასწავლო გეგმები.

სხდომაზე, დეპუტატებმა, თანხმობა მისცეს მუნიციპალიტეტის მერიას სოფლებში: დუმაცხოვში, ნაბახტევში, რუსაანთუბანში და ქინძათში გზების მოასფალტების და ბეტონის გზის დაგების სამუშაოების შესყიდვის თაობაზე.

შემდეგ საკითხად საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულების, სამუსიკო სკოლის გაერთიანების პედაგოგთა განაკვეთის, საგაკვეთილო საათებისა და შრომის ანაზღაურებაზე და დაამტკიცეს ზემოაღნიშნულის განსაზღვრის წესი. ასევე დამტკიცდა, 2021 წელს, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა.

სხდომის დასასრულს, საკრებულომ მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების მიერ 2020 წლის პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც შეფასდა დადებითად. (იხ. III გვ.)

## რა შეზღუდვები მოიხსნება 8 და 15 თებერვლიდან-მთავრობის ადმინისტრაცია დეტალურ ინფორმაციას აქვეყნებს

მთავრობის ადმინისტრაცია, შეზღუდვების შემსუბუქების მორიგ ეტაპთან დაკავშირებით, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ავრცელებს.

გადაწყვეტილების შესახებ მთავრობის სხდომაზე გახდა ცნობილი. შეზღუდვების ნაწილი დღეიდან, ნაწილი კი 15 თებერვლიდან იხსნება.

"ბოლო შვიდი დღის დადებითობის საშუალო მაჩვენებელი შემცირდა 4%-მდე, შესაბამისად, შეზღუდვების ეტაპობრივი შემსუბუქება დაგეგმილზე ადრე იწყება.

1. აღდგება მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობა(თბილისის მეტრო, ავტობუსები, ე.წ მარშუტკები(გარდა შაბათ-კვირისა).

2. გაიხსნება ღია და დახურული ბაზრობები(გარდა შაბათ-კვირისა). ერთი კვირის შემდეგ, ანუ 15 თებერვლიდან-მთელი საქართველოს მასშტაბით:

1. ბავშვები სწავლას საკლასო ოთახებში განაგრძობენ(ამასთან, მშობლებს კვლავაც ექნებათ უფლება, სურვილის შემთხვევაში, აირჩიონ დისტანციური სწავლება).

2. კვების ობიექტები გარე სივრცეში სტუმრების მიღებას შეძლებენ(გარდა შაბათ-კვირისა)

მკაცრდება წესდება პირბადის ტარების წესის დარღვევაზე და მეორედ დარღვევის შემთხვევაში, ჯარიმა გაიზრდება.

ორგანიზაციები, ბიზნესსუბიექტები, რომლებიც მიზანმიმართულად დაარღვევენ კანონს და შეზღუდვების პერიოდში განხორციელებული ობიექტები, რომლებიც მიზანმიმართულად დაარღვევენ კანონს და შეზღუდვების პერიოდში განახორციელებენ აკრძალულ ეკონომიკურ საქმიანობას, ვედარ ისარგებლებენ პანდემიის დროს დაწესებული შეღავათებით, სუბსიდირებით და სხვადასხვა პროგრამებით"-ნათქვამია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეზღუდვები რჩება საქალაქთაშორისო ტრანსპორტთან დაკავშირებითაც. ვიცე პრემიერ მაია ცქიტიშვილის განცხადებით, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენა ჯერ-ჯერობით დაგეგმილი არაა, მისი თქმით, მომდევნო, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ შეფასდება ეპიდემიოლოგიური ვითარება და ვირუსის გავრცელების დინამიკა და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის აღდგენის გადაწყვეტილებას ამის მიხედვით მიიღებენ. ამ ეტაპზე, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის ფუნქციონირების აღდგენა დაგეგმილი არ არის, ჯერ ვსაუბრობთ მუნიციპალური ტრანსპორტის აღდგენაზე. შესაბამისად, მუნიციპალური ტრანსპორტი იმოქმედებს ყველა იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მუნიციპალური ტრანსპორტი არსებობს"-განაცხადა ცქიტიშვილმა.

## რიკოთის გზაზე ყველაზე გრძელი გვირაბის მშენებლობა დაიწყო

რიკოთის საუღელტეხილო გზაზე ავტობანის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე, არსებული გვირაბის პარალელურად, ყველაზე გრძელი გვირაბის მშენებლობა დაიწყო, რომლის სიგრძე 1800 მეტრი იქნება, საიდანაც ამჟამად დაახლოებით 200 მეტრი გაჭრილია,- ამის შესახებ ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, მიმდინარე სამუშაოები პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ და პირველმა ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა დაათვალიერეს.

„პანდემიის მიუხედავად, რიკოთის მონაკვეთის მშენებლობა ერთი დღითაც არ გაჩერებულა. ეს არის 52 კმ-იანი მაგისტრალი, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს და ფაქტობრივად გაანახევრებს მგზავრობის დროს. ეს სრულად შეცვლის უსაფრთხოების და სიჩქარეების სტანდარტს, რომელიც დღეს საქართველოში გვაქვს. ეს არის ერთ-ერთი უნიკალური პროექტი, რომელიც თანამედროვე ისტორიაში მიმდინარებს. სულ 53 ხიდი და 96 გვირაბი იქნება და ამ კონსტრუქციების ნახევარზე მეტი უკვე შენდება. ეს გვირაბი, სადაც ახლა ვიმყოფებით, ყველაზე გრძელი იქნება საქართველოში, ვიდრე ქვეშეთი-კობი აშენდება. ზოგადად, ჩქაროსნული მაგისტრალების თვალსაზრისით წელს დაახლოებით 40%-ით მეტი დაფინანსება გვაქვს გათვალისწინებული, რაც შესამჩნევ პროგრესს უზრუნველყოფს," - განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

უწყების ინფორმაციით, ამ ეტაპზე, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს რიკოთის საუღელტეხილო გზის ჩუმათელეთი-ხევის 11.7 კმ-იან, ხევი-უბისას 12.2 კმ-იან და უბისა-შორაპანის 13 კმ-იან მონაკვეთებზე. რაც შეეხება შორაპანი-არგვეთას მონაკვეთს,აქ სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. საერთო ჯამში, ამ დროისათვის, რიკოთის საუღელტეხილო გზაზე უკვე გაჭრილია 6 გვირაბი. ბოლო გვირაბი სოფელ შროშასთან სულ ახლახან გაიჭრა და მისი სიგრძე 885 მეტრია. სამშენებლო სამუშაოები სულ 39 გვირაბსა და 61 ხიდზე მიმდინარეობს.

# ხაშურის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლისათვის დაგეგმილი ან მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

ქალაქ ხაშურში, ქუჩების მოასფალტება-წმ. ნინოს ქუჩა, პუშკინის ქუჩა, ცხინვალის ქუჩა, აგარის და გაგარინის ქუჩის დარჩენილი ნაწილი (4 850 000 ლ), ბარათაშვილის, ჩაიკოვსკის, თევდორე მღვდლის, აგარის ქუჩის მონაკვეთი, ქობულეთის, ბაქოს, შოლის, სანაპიროს ქუჩები(3 200 000 ლ), გრიშაშვილის ლერმონტოვის, განთიადის, შალიბაშვილის, გრ. კიკნაძის(ჩკალოვის), ოსიაურის, ომიაძის, მგალობლიშვილის ქუჩების ელექტროფიკაცია და ოქტომბრის ქუჩების ნაწილის მოასფალტება (4 550 000 ლ);

დაბა სურმაში ქუჩების მოასფალტება-ყაზბეგის,წერეთლის, ნინოშვილის, სანაპიროს, სააკაძის ქუჩები (2 600 000ლ), იერუსალიმისა და სააკაძის ქუჩების (650 000ლ).

მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა/ რეაბილიტაცია(1 200 000ლ);

სოფელ ქინძათში გზის მოასფალტება (1 386 730 ლ), სოფელ მონასტერში-ბეტონის გზის დაგება (625 665 ლ), ფლევი-ტკოცის გზის მოასფალტება (4 500 000 ლ),ცოცხნარა-ოძისი-ცივწყაროს გზის მოასფალტება (2 500 000 ლ);

სოფელ დიდ ფლევში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა (514 000ლ);

სოფელ ახალუბანში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია (101 524ლ);

მედიათეკის მშენებლობა (2 200 000l);

პროფსასწავლებლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (2 000 000ლ);

ზემოსერის პარკში რეკრეაციული ზონის მოწყობა (4 000 000ლ);

სოფელ ბიჯნისის მისასვლელი გზის (თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის გადასახვევიდან) და ბიჯნისი-ცივწყაროს მისასვლელი გზის მოასფალტება(2 500 000ლ);

გომი-დიდი სატივე-ახალსოფლისა და დიდი სატივე-პატარა სატივეს დამაკავშირებელი გზის მოასფალტება(2 500 000ლ);

კოდისწყაროს ტბაზე მისასვლელი გზისა და საკეპინგე ადგილების მოწყობა(2 800 000ლ);

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში განხორციელდება პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის "მეკარიბჭის: „ფუნქცია-უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება, რაც გააუმჯობესებს ჯანმრთელობის მაჩვენებლებს და შეამცირებს დანახარჯებს გადაუდებელ და სტაციონარულ მომსახურებაზე. გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი;

გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საპენსიო ასაკის პირთა პენსიით უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს სახელმწიფო პენსიის იდენქსაციას და უზრუნველყოფს საპენსიო ასაკის მოსახლეობისთვის სოციალური გარანტიების შექმნას;

მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;

გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტების გაცემა; დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;

განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკა;

გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს მუნიციპალური პროგრამები;

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში:

საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიზრდება მისი დაფინანსება;

დაგეგმილია: საბავშვო ბაღებში ინვენტარის განახლება. ქალაქის საბავშვო ბაღებში.

ვიდეოკამერების მოწყობა; ბ/აირის ღუმელის ელექტროღუმელით შეცვლა; ქალაქის 6 საბავშვო ბაღის ინვენტარიზაცია; ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა: 2021 წელს სურამში, ჩუმათელეთი-იტრიის ტერიტორიაზე, 2022 წელს, სოფელ წაღვლში, 2024 წელს სოფელ ფლევში;

გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების, ყველა კლასის მოსწავლეების, კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი ოჯახებისა და სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელძღვანელოებით უზრუნველყოფა;

გაგრძელდება სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, დაგეგმილია სოფლების ბროლოსნისა და წაღვლის სკოლებში სველი წერტილების რეაბილიტაცია.

2021-2024 წლებში დაგეგმილია 150 სტუდენტზე გათვლილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა;

გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;

განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაცია, მათშორის: ხაშურში ისტორიული კოშკისა და სურამის ციხის ტერიტორიების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია, ხაშურში-თოჯინების თეატრის სახურავის რეაბილიტაცია და მუზეუმის მშენებლობა, ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია, ხაშურის სამუსიკო სკოლის ფასადის რეაბილიტაცია; დაგეგმილია დაბა სურამში რაგბის სტადიონისა და ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია; ქინძათში მინისტადიონის მოწყობა.

კულტურისა და ძეგლთადაცვის სამინისტრო, მიზნობრივი პროგრამებით, დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში სახელოვნებო წრეების ფუნქციონირების ხელშეწყობას განახორციელებს.

# ფერმერების აგროდიზელით მხარდაჭერის პროგრამა 2021 წელსაც გრძელდება. ფერმერები დიზელის საწვავს მნიშვნელოვნად დაბალ ფასად მიიღებენ

პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყეო პირველ თებერვალს, ხოლო ფასდაკლების ბარათების გააქტიურება დღეიდან ეტაპობრივად განხორციელდება.

ფერმერებს ფასდაკლებით სარგებლობა უკვე ელექტრონულადაც შეუძლიათ და ბენზინგასამართ სადგურებზე დაბეჭდილი დოკუმენტის წარდგენა აღარ მოუწევთ.

საწვავზე ფასდაკლების დასტური გაიცემა დისტანციურად, ვებგვერდის https://my.mepa.gov.ge საშუალებით. ფერმერებს ასევე შეეძლებათ ბარათები სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონულ სამსახურებშიც მიიღონ.

ფერმერებისათვის შეღავათიანი პირობებით საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმს" შორის მემორანდუმი გაფორმდა.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ანტიკრიზისული გეგმის - „ზრუნვა სოფელზე და ფერმერზე" ფარგლებში, 2020 წელს აგროდიზელის პროგრამა წარმატებით განხორციელდა. ფასდაკლებით ისარგებლა 125 ათასმა ფერმერმა და მათ 7 მილიონ ლარზე მეტი შეღავათი მიიღეს.

აგროდიზელის შეღავათიან ფასად მიღებას კვლავ შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიულ პირები, რომელთაც აქვთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა-სა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა საძოვრისა, ან ის პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას და დაზუსტებას.

პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალისწინებულია 1 ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არა უმეტეს 15 000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გაცემა.

პროგრამით მოსარგებლე ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ დიზელის საწვავი მიმდინარე წლის განმავლობაში, ყოველთვიურად, კონსოლიდირებულ ტენდერში დაფიქსირებულ ფასზე 20 თეთრით იაფად შეისყიდონ კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის" საბითუმო ბაზებიდან, ხოლო ავტოგასამართი სადგურებიდან - 16 თეთრის ფასდაკლებით.

მთელი ქვეყნის მასშტაბით დიზელის შეუფერხებლად გაცემა მოხდება დადგენილი გრაფიკის მიხედვით, კერძოდ - 1 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით. გაიცემა არაუმეტეს 2 000 ლიტრი საწვავი, 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით - დამატებით 1 500 ლიტრი, ხოლო 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით - დარჩენილი რაოდენობა.

# ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ანგარიში 2020 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება თავის საქმიანობას ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ №38 დადგენილების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განყოფილებაში საქმიანობს 5 თანამშრომელი - განყოფილების ხელმძღვანელი და 4 მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. აქედან 2 უფროსი სპეციალისტი ემსახურება მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს, ხოლო ერთი უფროსი სპეციალისტი და განყოფილების ხელმძღვანელი პასუხისმგებელი არიან მედიასთან, საზოგადოებასთან, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე. განყოფილების ხელმძღვანელი არის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი, ასევე მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. განყოფილება მართავს მერიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდს, ასევე მერიის ოფიციალურ ვებგვერდსაც.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციის კატეგორიას მიკუთვნებულ კორესპონდენციასთან დაკავშირებით, 2020 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში, შემოსული იყო 51 მოთხოვნა. 1 განცხადებაა შემოსული მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე და უკვე პასუხგაცემულია.

რაც ეხება საჯარო ინფორმაციის 51 მოთხოვნას, ყველა მათგანზე მოხდა რეაგირება და ამის შესახებ საჯარო ინფორმაციის გამომთხოვ პირებს წერილობითი ფორმით ეცნობა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადდა და 2020 წლის 9 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე გაიგზავნა ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიაში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემისას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი 10-დღიანი ვადა ყოველთვის დაცულია, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული ყველა განცხადება დაკმაყოფილდა. უარის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯებმა ასლის მოსაკრებლის სახით, შეადგინა 0 ლარი.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევისთვის დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევები არ ყოფილა.

როგორც აღინიშნა, განყოფილება ადმინისტრირებას უწევს მერიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდს https://www.facebook.com/KhashuriCityHall da veb-gverds www.khashuri.gov.ge რაც საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებას საშუალება აძლევს უზრუნველყოფილ იყოს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზაციაში გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების ამაღლებას. ამასთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საკრებულოს აპარატთან, რათა არ მოხდეს საკრებულოსა და მერიის ვებ თუ ფეისბუქ გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის ურთიერთგადაფარვა, ან, გარკვეულ შემთხვევებში, ხელი შეეწყოს ინფორმაციის ფართოდ გავრცელებას.

მერიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე ახალი ინფორმაციის განთავსება ხდება ყოველდღიურ რეჟიმში. როგორც ფეისბუქის, ისე ვებგვერდზე განსათავსებელი მასალის მომზადება, დამუშავება, შესაბამისი ფოტომასალის დართვა, ასევე ვიდეო მასალების მომზადება. ე.წ. ვიდეო Live-ს გაშვება ხდება უშუალოდ განყოფილების თანამშრომლების მიერ. გარდა ჩვენი ექსკლუზიური ინფორმაციისა, ფეისბუქის გვერდზე ხდება ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების და ქვეყანაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ არსებული ინფორმაციის გაზიარება.

ფეისბუქის გვერდი მუშაობს ინტერაქტიულ რეჟიმში. მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ დასვან შეკითხვა ან აზრი გამოხატონ მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემების ირგვლივ. ყველა შეკითხვა, რომელიც შემოსულია ფეისბუქის გვერდის მეშვეობით, პასუხგაცემულია შესაბამის სამსახურებთან კონსულტაციის შემდეგ.

გარდა ინფორმაციის გავრცელების აღნიშნული საშუალებებისა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს საინფორმაციო სააგენტოებთან, სადაც სისტემატურად ხდება ინფორმაციის განთავსება მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. 2020 წელს ვთანამშრომლობდით საინფორმაციო სააგენტო აიპრესთან. თებერვლის თვიდან (როცა დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულება) დეკემბრის ბოლომდე „ინტერპრესნიუსზე“ გამოქვეყნებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ამსახველი 90 მასალა. მიმდინარე წელსაც, ვაგრძელებთ თანამშრომლობას აღნიშნულ სააგენტოსთან, ვინაიდან, ბაზრის კვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე ოპტიმალური შემოთავაზება მათგან მივიღეთ. თებერვლის თვიდან უკვე დავიწყეთ ინფორმაციების მიწოდება და თანამშრომლობა ჩვეულ რეჟიმში.

განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს რეგიონულ თუ ცენტრალურ მედიასთან. განსაკუთრებით ხშირად გვიკავშირდებიან ადგილობრივი ტელეკომპანიების „დიას“ და „თრიალეთის“ ჟურნალისტები, ასევე რეგიონული თუ ცენტრალური ბეჭდვითი თუ ინტერნეტ მედიის წარმომადგენლები. 2020 წელს ტელეკომპანია „თრიალეთთან“ გვქონდა გაფორმებული ხელშეკრულება მომსახურებაზე და უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ გაწეულმა საინფორმაციო მომსახურებამ გადააჭარბა კიდეც ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრულ მომსახურებას, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო.

განყოფილება აქტიურად არის ჩართული ხაშურთან დამეგობრებული ქალაქებთან ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. მოგეხსენებათ, 2020 წელს ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ხაშურქალაქობის დღესასწაული ვერ შედგა, ასევე ვერ ჩატარდა საზეიმო ღონისძიებები ხაშურთან დამეგორებულ ქალაქებში, თუმცა, ჩვენს განყოფილებას არ შეუწყვეტია მჭიდრო კონტაქტები არც ერთ დამეგობრებულ ქალაქთან და თითოეულ მათგანში დაიგზავნა მილოცვები როგორც ქალაქების დღესასწაულებთან დაკავშირებით, ისე ქვეყნების დამოუკიდებლობის დღისა თუ სხვა დღესასწაულების აღსანიშნავად. მინდა განვაცხადო, რომ მეგობარი მუნიციპალიტეტებიდან ვიღებთ ძალიან პოზიტიურ შეტყობინებებს და ისინიც, ისევე როგორც ჩვენ, მოუთმენლად ელოდებიან პანდემიის დასასრულს, რომ კვლავ აღდგეს პირადი ურთიერთობები, კვლავ შევძლოთ მუშაობა ერთობლივ პროექტებსა თუ ინიციატივებზე.

მოგეხსენებათ, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა დისტანციურ საქმიანობას. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება წამყვან როლს ასრულებდა მთელი 2020 წლის განმავლობაში როგორც დისტანციურ შეხვედრებში უშუალო ჩართულობით, ისე მერიის სხვა სამსახურებისთვის ტექნიკური უზრუნველყოფის გაწევის თვალსაზრისით. ჩვენი უშუალო ჩართულობით შედგა 30-ზე მეტი ონლაინ შეხვედრა, დისკუსია, ვებინარი, სადაც მონაწილეობა მიიღეს მერიის სხვადასხვა სამსახურების წარმოამდგენლებმა და მოქალაქეებმა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღვნიშნავ სურამის ქალაქთმშენებლობითი გეგმის განხილვაში, კერძოდ, სგშ-სა და გეგმის წარდგენის პროცესში მერიის სამსახურებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობას, რაც ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში სრულიად დისტანციურად განხორციელდა.

უკვე დისტანციურ რეჟიმში, განყოფილება ჩართულია ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო კამპანიაში. კამპანია ხორციელდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით. კამპანიის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ შეხვედრები და ვებინარები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ რეალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

ამასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება აქტიურად არის ჩართული კოვიდ19-ის მართვის პროცესში. განყოფილების ხელმძღვანელი და თანამშრომლები ჩართულები არიან, შიდა ქართლის მასშტაბით, თვითიზოლაციაში მყოფი პირების მონიტორინგის ჯგუფში, გვაქვს ყოველდღიური კონტაქტი თვითიზოლაციაში მყოფ საშუალოდ 300-350 მოქალაქესთან, ვიკვლევთ მათს მდგომარეობას და სოციალური პრობლემის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ან სხვა გადაუდებელი ვითარების შემთხვევაში ვამისამართებთ შესაბამის სამსახურებთან შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატის გავლით.

განყოფილების წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობაში. ჩვენი განყოფილების მიერ მომზადდა და ფეისბუქის მეშვეობით გავრცელდა საინფორმაციო ვიდეო ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ შსს ცხელი ხაზის აპლიკაციის პოპულარიზაციის მიზნით, რამაც საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა. ხორციელდება მოქალაქეებთან შეხვედრები გენდერული თანასწორობის საკითხებზე. უკვე ჩატარდა ასეთი შეხვედრები ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში, ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრში და სხვ. შეხვედრები და საუბრები გენდერული თანასწორობის საკითხებზე გაგრძელდება მიმდინარე წელსაც. ჩვენი განყოფილების წარმომადგენლები, გენდერული თანასწორობის საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართული ქალის მიმართ ძალადობის 16 დღიანი კამპანიის სამთავრობო ღონისძიებებში, რომელიც პრემიერ მინისტრის აპარატის ჩართულობით, სხვადასხვა მუნიციპალიტეტების, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების მონაწილეობით და საჯარო სამსახურის ბიუროს ორგანიზებით მიმდინარეობდა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილება არადისტანციურ რეჟიმშიც აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტსა და სხვადასხვა არასამთავრობო, სამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობაში, მათ შორის შეხვედრებისა თუ ტრენინგების მომზადების საორგანიზაციო საკითხებში, ასევე მოსახლეობის ჩართულობით მიმდინარე სხვადასხვა აქციების - მათ შორის დასუფთავების აქციების ორგანიზებასა და გაშუქებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი განყოფილების გამართული ფუნქციონირება დიდწილად არის დამოკიდებული როგორც ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელთან და სხვა განყოფილებებთან, ისე მერიის სამსახურებთან, პირადად მუნიციპალიტეტის მერთან და მოადგილეებთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, კომისიის ხელმძღვანელებთან და წევრებთან თანამშრომლობაზე. ამიტომ, გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და, დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ თანამდებობის პირსა თუ თანამშრომელს, რომელთა ჩართულობის, თანამშრომლობაზე ორიენტირებულობისა თუ პრობლემებზე დროული რეაგირების გარეშე ჩვენი საქმიანობა აუცილებლად შეფერხდებოდა. როგორც განყოფილების ხელმძღვანელი მადლობას ვუხდი მის თითოეულ თანამშრომელს შრომისთვის და მხარდაჭერისთვის.

განყოფილება მუშაობას აგრძელებს აქტიურ რეჟიმში და მისი ყველა თანამშრომელი მომავალშიც მზად არის თავი გაართვას მასზე კანონმდებლობით დაკისრებულ ამოცანებს.

ნინო სუხიაშვილი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი

# ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020წ. 2021 წ.#1,2)

აკად. ირაკლი ჯორჯაძე წერს: დავით ულუმ „...ვერ გამოიყენა სამცხის რელიეფი, მისი მთიანი მიუვალი ადგილმდებარეობა და თავად გამოვიდა სოფელ ახალდაბასთან ღია ველზე მონღოლთა უამრავი ძალების წინააღმდეგ და დამარცხდა კიდეც სასტიკად”.

ვინც ახალდაბის ადგილმდებარეობას იცნობს, დამეთანხმება, რომ მასთან ძალზე ძნელია მოიძებნოს გაშლილი „ღია ველი”, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა ქართველთა და მონღოლთა შორის ბრძოლის გამართვა.

პროფ. შ. მესხია აჯანყებულ ქართველ და მონღოლთა ბრძოლის ადგილად გორის სიახლოვეს მიიჩნევდა.

პროფ. ი. სიხარულიძე წიგნში „ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV საუკუნეებში” აღნიშნავს: „ყაენის ლაშქარმა ჯერ კიდევ შოლის ბრძოლაში (ქვიშხეთში) განიცადა მნიშვნელოვანი ზიანი, შინდარას შეტაკებაში აჯანყებულნი დამარცხდნენ...”

თითქოს აქ ყველაფერი რიგზე არის, მაგრამ ავტორი იქვე მიუთითებს რომ „1500 მესხის წინააღმდეგ იქ (ე.ი. შოლასთან ქვიშხეთში) მტრის 6000 მოლაშქრე იბრძოდა, მაგრამ თათრებს რიცხობრივმა უპირატესობამ ვერაფერი უშველა: ბევრი დაიღუპა, ხოლო ვინც გადარჩა, შინდარას (გორთან) მიაშურა, სადაც არღუნი იდგა მთავარი ძალებით.”

ავტორი ამ შემთხვევაში ჟამთააღმწერლს უთითებს, რაც იმაზე მიგვანიშნებს რომ არც მას აქვს გააზრებული ქართველთა და მონღოლთა ძირითადი ბრძოლის ადგილმდებარეობა.

იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე საქართველოს ისტორიის ნარკვევების მესამე ტომში, რომლის შესაბამისი ნაწილის ავტორიცაა ბ. ლომინაძე.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ არღუნი „...გაემართა სამცხისაკენ, დადგა სურამს.” ამის შემდეგ „...ქართველი ჯარი ტაშისკარის ვიწრობებიდან გამოვიდა და მტერს გაშლილ ველზე გორის მიდამოებში (შინდარასა და ახალდაბასთან) შეებრძოლა.”

აქ ბევრი რამ გაუგებარია. კერძოდ, რატომ დადგა მაინცდამაინც არღუნი სურამს და არა სხვაგან. თუ გორის მიდამოებში მოხდა ბრძოლა, იქვე მინიშნებული შინდარა და ახალდაბა ნამდვილად არასწორად არის ჩართული. როგორც ჩანს, ავტორი შინდარასა და ახალდაბას გორის მიდამოებში მიიჩნევს. სინამდვილეში ეს გეოგრაფიული პუნქტები – ახალდაბა და შინდარა საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული გორიდან. ასე რომ ბრძოლა აჯანყებულებსა და მონღოლებს შორის ნამდვილად არ მოხდებოდა გორის მიდამოებში შინდარსა (ალბათ, უნდა იყოს შინდარა) და ახალდაბაში.

როცა ბ. ლომინაძე აჯანყების დამარცხების მიზეზებზე ლაპარაკობს, მიუთითებს: „მცდარი იყო საომარი გეგმაც, როცა ქართველებმა თავი აარიდეს ტაშისკართან ვიწრობებში ბრძოლას და ასპარეზი გაშლილ ველზე გადმოიტანეს” ამ შემთხვევაში საერთოდ არ არის მითითებული ბრძოლის ადგილმდებარეობა. ალბათ, ავტორი „გაშლილ ველში” კვლავ ისევ გორის მიდამოებს გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების” მესამე ტომის ამ შესაბამის თავში საქმე გვაქვს ბევრ გაუგებრობასთან, ერთი კი ცხადია, რომ აქ კიდევ ერთხელ გარკვევით არის მითითებული, რომ 1260 წლის დეკემბერში ქართველთა და მონღოლთა შორის ბრძოლა მოხდა გორის მიდამოებში.

პროფ. ნ. ასათიანი საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში წერს, რომ „პირველი ბრძოლა მონღოლებსა და დავით ულუს შორის გორის მიდამოებში მოხდა 1260 წლის დეკემბერში.”

როგორც ჩანს, ავტორი რადგან პირველ ბრძოლაზე საუბრობს, მეორე ბრძოლაც აქვს მხედველობაში, თუმცა მასზე არაფერს ამბობს. სინამდვილეში კი რომელ ბრძოლაზეც მიუთითებს იგი ქართველთა და თათართა შორის მომხდარი მეორე ბრძოლაა, პირველი ვიცით რომ შოლასთან, ქვიშხეთთან გაიმართა.

2001 წელს, მისივე რედაქციით გამოსული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შესაბამის თავში, რომლის ავტორობაც მას ეკუთვნის, ნათქვამია, ქართველები ახალდაბასთან ბრძოლაში დამარცხდნენ.

იმავე სახელმძღვანელოს 2002 წლის გამოცემაში აღნიშნავს, რომ „პირველი შებრძოლება სოფ. ახალდაბასთან მოხდა”, სადაც მონღოლები დამარცხდნენ. შემდეგ „...ქართველებმა მტკვრის ვიწრო ხეობა დატოვეს და მონღოლებს შინდარასთან, შედარებით გაშლილ ადგილას, შეუტიეს”. აქ მართალია ავტორს თხზულებაში უკვე შემოაქვს შინდარა, მაგრამ მისი მდებარეობა განსაზღვრული არ არის.

პროფ. ნ.ასათიანი 1999 წელს გამოცემულ თავის საქართველოს ისტორიაში უკვე საერთოდ არ მიუთითებს ბრძოლის ადგილს.

იგივეს იმეორებს ავტორი მისი და მ. ლორთქიფანიძის რედაქციით გამოსულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შესაბამის თავში. აქ იგი აღნიშნავს მხოლოდ რომ არღუნი დაიძრა მტკვრის ხეობისაკენ, სადაც გამაგრებული იყო დავით ულუ და მისი ერთგული ყმა სარგის ჯაყელი. აქ ბრძოლის ადგილმდებარეობას საერთოდ აღარ მიანიშნებს, იგულისხმება რომ იგი მტკვრის ხეობაში მოხდა.

შინდარას გორთან გულისხმობს გიორგი ანჩაბაძეც 1990 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოს სამხედრო ისტორიის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები.”

ცალკე უნდა შევეხოთ ქართული ენციკლოპედიის ტომეულებში აჯანყებასთან დაკავშირებულ მოთავსებულ სტატიებს, რომლებშიც იგივე უზუსტობები მეორდება და კვლავ მტკიცედ არის მიჩნეული ბრძოლის ადგილად ახალდაბა, ტაშისკარი და ქვიშხეთი. შეტანილია სპეციალური სტატია „ქვიშხეთის ბრძოლა”, რაც წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, რადგან უფრო ახლოა სინამდვილესთან, თუმცა მასაც ახლავს ზოგიერთი უზუსტობა.

სტატიაში „ახალდაბა” ნათქვამია, რომ „1260 წელს ახალდაბასთან გაიმართა მონღოლთა და ქართველთა ჯარების ბრძოლა”.

მისი ავტორები გ.ზარდალაშვილი, დ.ბერძენიშვილი და გ.უშვერიძე ამ ბრძოლას ქვიშხეთის ბრძოლასაც უწოდებენ.

სტატიაში „ქვიშხეთის ბრძოლა” აღნიშნულია 1260 წელს „ბრძოლა ქართველებსა და მონღოლებს შორის ქვიშხეთსა და ახალდაბის მიდამოებში მოხდა.”

„მან (სარგის ჯაყელმა), – ნათქვამია სტატიაში, – ტაშისკარის ვიწროებიდან გაიყვანა (ჯარი) და მტერს გაშლილ ადგილზე შეეგება (რაც სტრატეგიული თვალსაზრისით შეცდომა იყო). აჯანყებულებმა თავდაპირველად სძლიეს მტერს, მაგრამ შემდეგ გაშლილ ველზე ბრძოლას ვერ გაუძლეს, ქართველები დამარცხდნენ.”

როგორც ვხედავთ, სტატიის ავტორები ქვიშხეთს მიიჩნევენ ბრძოლის ადგილად.

სტატიაში „დავით VII ულუ” – ავტორი პროფ. ვ. გუჩუა წერს „ახალდაბასთან ბრძოლაში ყაენის სარდალმა არღუნ-ნოინმა დაამარცხა დავით VII–ისა და სამცხის სპასალარ სარგის ჯაყელის მცირერიცხოვანი ჯარი.”

იგივე ავტორი სტატიაში – „სარგის I ჯაყელი” – ბრძოლის ადგილად უკვე ტაშისკარს მიიჩნევს და ახალდაბაზე საერთოდ აღარ ლაპარაკობს. „1260 წელს ტაშისკართან ბრძოლაში სარგის I-ის 1500 ცხენოსანმა დაამარცხა არღუნის 6000-იანი მოწინავე ლაშქარი... მთავარი ძალების გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. სარგის I-ის შეცდომა იყო, რომ ბორჯომის ხეობის ვიწროებიდან გამოვიდა და მონღოლებს გაშლილ ველზე შეებრძოლა. სადაც მტერს მანევრირების საშუალება მისცა.”

დ. ბერძენიშვილი 1985 წელს გამოცემულ წიგნში „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან”, რომელშიც განხილულია ზემო ქართლის ისეთ რეგიონებს, როგორიცაა თორი და ჯავახეთი, აღნიშნავს, რომ ქართველებმა „ტაშისკართან პირველივე შეტაკებაში დაამარცხეს მონღოლები”, ხოლო შემდეგ „წარჩინებული ქართველების დახმარებით, მონღოლებმა გადამწყვეტი ბრძოლა მოიგეს და სარგისის ჯარს „სდევნეს ახალდაბის ხიდამდე, გინა უმეტესცა”.

როგორც ვხედავთ, დ. ბერძენიშვილი ქართველთა და მონღოლთა შორის გადამწყვეტ ბრძოლას იქვე, ტაშისკართან ახლოს მოიაზრებს მაგრამ კონკრეტულად არ მიუთითებს ადგილს.

პროფ. ე. მამისთვალიშვილი აღნიშნულ საკითხს სპეციალურად ეხება 1994 წელს გამოცემულ გორის ისტორიის პირველ ტომში. ავტორი ჟამთააღმწერელზე და ივანე ჯავახიშვილზე დაყრდნობით გადმოგვცემს აჯანყების მიმდინარეობას, ქართველთა და მონღოლთა ბრძოლის ეპიზოდებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არ არღვევს ჟამთააღმწერლის ტექსტს და ისე მოჰყავს იგი, როგორც მას აქვს. მაგალითად, წერს, რომ მონღოლთა გადარჩენილი მებრძოლნი მობრუნდნენ არღუნთან „შინდარასა გორისასა”. ან კიდევ, სარგის ჯაყელმა ხეობიდან გამოიყვანა ჯარი და გაშლილ ადგილას „შინდარას გორისასას” გაუმართა ბრძოლა არღუნს.

როგორც ვხედავთ, პროფ. ე. მამისთვალიშვილი არ მიიჩნევს მანამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ აზრს, რომ არღუნი გორის შინდარაში დგას, აგრეთვე გორის შინდარას ბრძოლის ადგილად. მას ჟამთააღმწერლის ტექსტიდან უცვლელად გადმოაქვს ადგილის სახელწოდება – „შინდარას გორისასა”.

მაგრამ ავტორი სამართლიანად სვამს კითხვას: „საინტერესოა, რომელი გეოგრაფიული პუნქტი იგულისხმება „შინდარას გორისასაში”.

პროფ. ე. მამისთვალიშვილი არ აზიარებს ჟამთააღმწერლის შესაბამისი ტექსტის ტრადიციულ გააზრებას. არასწორად მიიჩნევს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების” მესამე ტომში მონღოლთა და ქართველთა გორის მიდამოებში ახალდაბასთან და შინდარასთან შებრძოლების პუნქტს. აღნიშნავს, რომ ზემოდასახელებული ახალდაბა გორის მახლობლად მდებარე ახალდაბა კი არ არის, არამედ ბორჯომის ახალდაბაა, რაზეც „სავსებით გასაგებათ მიგვითითებს” ჟამთააღმწერელი. „არც შინდარა იყო გორის მახლობლად” – დასძენს იქვე ავტორი და მოაქვს ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერიდან” შესაბამისი ადგილი, რომლის მიხედვითაც შინდარა სურამის აღმოსავლეთითაა. ვახუშტი ბატონიშვილი, – აღნიშნავს ავტორი, – არც იქ ასახელებს ქ. გორს, სადაც ზემოაღნიშნულ ბრძოლაზე ლაპარაკობს.

„მაგრამ არც „ჟამთააღმწერელთან” და არც ვახუშტისთან არ ჩანს გარკვევით, თუ რა იყო შინდარა: დასახლებული პუნქტი, ციხესიმაგრე, მთა, ხეობა... უფრო სავარაუდოა რომ შინდარა სურამის მახლობლად რომელიმე პატარა მთის (გორის) სახელი იყო და ამიტომ უწოდებს „ჟამთააღმწერელი” „შინდარას გორისასას” (შინდარის გორა)” – ასეთ დაასკვნის პროფ. ე. მამისთვალიშვილი.

თითქოს ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ ავტორი იქვე ეძებს სხვა შინდარასაც და წერს, რომ „ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე საბუთი, საიდანაც ირკვევა, რომ XVI-XVII საუკუნეებში ნამდვილად არსებობდა დასახლებული პუნქტი შინდარა, როგორც „ფცის წყალზედ” მდებარე სოფელი, მოხსენებულია იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში.”

„ამრიგად, – წერს ბოლოს ე. მამისთვალიშვილი, – 1260 წლის დეკემბერში ულუ დავითის ჯარსა და მონღოლების შორის ბრძოლა გორთან არ მომხდარა”.

მიუხედავად იმისა, რომ პროფ. ე. მამისთვალიშვილი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ 1260 წელს გორის მიდამოებში ქართველებსა და მონღოლებს შორის ბრძოლა არ მომხდარა და ასეთ ადგილად შინდარას მიიჩნევს, მაინც მინდა რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვათ.

ჟამთააღმწერელიც და ვახუშტიც მოიხსენიებენ შინდარას და „შინდარი”-ს, პროფ. ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს, რომ მათთან გარკვევით არ ჩანს რა არის შინდარა, თუმცა ორივე ავტორთან, ჟამთააღმწერელთანაც და ვახუშტისთანაც, გარკვევით დასახელებული პუნქტია. მას დასახლებულ პუნქტად მიიჩნევენ. ვახუშტის რუკაზეც აქვს დატანილი. აქედან გამომდინარე, შინდარა, როგორც ამას პროფ. ე. მამისთვალიშვილი წერს არ იყო „სურამის მახლობლად რომელიმე პატარა მთის (გორის) სახელი”, არასწორია. გორა აქ ნამდვილად არსებობს, თანაც ორი ყოფილა და იყო დასახლებული პუნქტი გორათიც. მართალია, სხვაგანაც გვხვდება შინდარას სახელწოდების დასახლებული პუნქტი, რაზეც პროფ. ე. მამისთვალიშვილი ი. ბაგრატიონს იმოწმებს და ფცის წყალზე ეძებს მას, მაგრამ იგივე „ქართლ-კახეთის აღწერაში” იოანე ბაგრატიონს სურამის წყალზეც აქვს დაფიქსირებული შინდარა.

არც ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებშია გარკვეული ბრძოლის ადგილი. პირიქით, აქაც მყარად, ყოველგვარი გააზრების გარეშე ბრძოლის ადგილად კვლავ მიჩნეულია გორის შინდარა.

პროფ. ი. ანთელავა 1996 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს შესაბამის თავში – „ქართველი ხალხის ბრძოლა თათარ-მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ”, – აღნიშნავს, რომ „1260 წლის დეკემბერში გორის სიახლოვეს მონღოლებმა დაამარცხეს დავით ულუ”.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება IV გვერდზე)

## ახალი პროექტის პრეზენტაცია

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში "განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის" (EDEC) წარმომადგენლებმა ნინო მეგრელიშვილმა და თამარ ბიგანიშვილმა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალი პროექტი „სწავლა,წვრთნა,

მიღწევა და კავშირის დამყარება დასაქმებისთვის (ისწავლე დასაქმებისთვის!)" წარადგინეს, რომელსაც ცენტრი პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს ექვს რეგიონში, მათ შორის შიდა ქართლში ახორციელებს.

პროექტის წარდგენას დაესწრნენ მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე, მერიის ეკონომიკური განვითარების, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის, ადმინისტრაციული სამსახურების წარმომადგენლები.

პროექტი მიზნად ისახავს კარიერული ორიენტაციისა და დასაქმების სერვისების განვითარებას და ხელმისაწვდომობის გაზრდას, ასევე კერძო-საჯარო პარტნიორობის განვითარებას შრომის ბაზრის საჭიროებების შეფასების, მოთხოვნაზე ორიენტირებული განათლების, სამუშაოზე მიმაგრებული სწავლებისა და სტაჟირების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებისთვის.

დაისახა ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები.

პროექტი სამწლიანია და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც პროექტით გათვალისწინებულ შერჩევის კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს.

## მერია დიალიზზე მყოფი პაციენტების დახმარებას კვლავ აგრძელებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია „მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების" მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში აგრძელებს თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ფულად დახმარებას.

პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები მერიისგან წლიურად 500 ლარის ფინანსურ დახმარებას იღებენ, რაც საჭირო პროცედურების ჩასატარებლად მგზავრობის ხარჯებს ფარავს.

პროგრამა 50 ბენეფიციარს ემსახურება.

-ახალი პროექტი -

## ხაშურს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს

როდესაც ელენე შათირიშვილი გავიცანი, პროექტზე მუშაობით იყო დაკავებული, რომელიც ხაშურის ტურისტულ პოტენციალს და მის განვითარებას ეხებოდა. გატაცებით საუბრობდა იმ შესაძლებლობებზე, რომელიც ტურისტული კუთხით გააჩნია ჩვენს მუნიციპალიტეტს. ელენე იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც ჩვენ ხვალინდელ დღეს და მომავალს ქმნის, ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ, მისი ხედვები, დამოკიდებულებები და წარმოდგენები ტურისტულ განვითარებაზე, თქვენთვისაც გაგვეზიარებინა. დარწმუნდებით, რომ ეს მხოლოდ სტუდენტური ნამუშევარი არაა და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საქმეს. რა თქმა უნდა, ეს პროექტის სრული ვერსია არაა, თუმცა, ნათლად ჩანს მისი დამოკიდებულებები და გათვლები:

**- ელენე, გააცანი შენი თავი ჩვენს მკითხველს:**

- ხაშურში დავიბადე და გავიზარდე, სკოლაც აქ დავამთავრე და სწავლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, ტურიზმის განხრით გავაგრძელე. მანამდე, ერთი წელი ვსწავლობდი აგრარულ უნივერსიტეტში, მევენახე-მეღვინის სასერთიფიკატო პროგრამაზე, რომელსაც ვახენინგის უნივერსიტეტთან ერთად ანხორციელებდნენ და ამით ნამდვილად ავიხდინე ჩემი ოცნება, მესწავლა და გამეგო ყველაფერი ღვინოზე. რაც შეეხება ჩემს არჩევანს, მინდოდა მესწავლა ბიზნესის ადმინისტრირება, პლუს ტურიზმის დაგეგმარება და ჩავირიცხე სასურველ ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან კი ავირჩიე ტურიზმის განხრა და ეს არჩევანი იმიტომ გავაკეთე, რომ ბავშვობიდან მომწონდა და მაინტერესებდა ტურიზმის სფერო და ყოველთვის მჯეროდა, საქართველოში ამ სფეროს მაღალი პოტენციალის. იქნებოდა ეს მასპინძლობა და სულისკვეთება, აგრო-ტურიზმი და მეღვინეობა, სათავგადასავლო ტურიზმი, ეკო-ტურიზმი თუ სხვა.

**- რატომ გადაწყვიტე, პროექტი ხაშურის ტურისტულ მარშრუტზე გაგეკეთებინა?**

–ტურიზმის მენეჯმენტის შესწავლისას, დამევალა პროექტის დაწერა, რომელიც გულისხმობდა ერთი კონკრეტული რეგიონის ტურისტული მარშრუტების შემუშავებას. ცხადია, ავირჩიე ხაშური და სხვა არჩევანზე თავშივე არც მიფიქრია, რადგან ხაშური, ესაა ადგილი, სადაც გავიზარდე და ყოველთვის მწყდებოდა გული, რომ მას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. რა თქმა უნდა, არ დავიშურე ძალისხმევა, დავიწყე ინფორმაციების მოძიება, როგორც ინტერნეტით, ასევე პირდაპირი გამოკითხვებით და შედეგმა მართლაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, იმდენად საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა სამუშაო პროცესი.

შევხვდი უამრავ საინტერესო ადამიანს, შევიტყვე აქამდე ჩემთვის და შეიძლება ბევრისთვისაც უცნობი ისტორიები ხაშურის შესახებ. ესაა სწორედ ის რესურსი, რაც ნებისმიერ ტურისტს ძალიან დააინტერესებს და მოხიბლავს აქ ჩამოსასვლელად.

მე უკვე მაქვს ჩემეული, კონკრეტული ხედვები ხაშურში ტურიზმის ასამუშავებლად და მზად ვარ ნებისმიერ პიროვნებასთან ან დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობისათვის, რადგანაც ვფიქრობ, რომ ეს არის მომავლის საქმე და ეს აუცილებლად იმუშავებს.

**- რას მოიცავს პროექტის შინაარსი, როგორია შენი ხედვები აღნიშნუ თემასთან დაკავშირებით?**

–თუ როგორ განვავითარებდი ჩვენი მხარის ამ პოტენციალს, მე ეს ყველაფერი უკვე გაწერილი მაქვს ჩემს სტრატეგიულ დოკუმენტში, ანუ ჩემს პროექტში, მაგრამ მოკლე მიმოხილვა იქნებოდა ის, რომ უკვე კონკრეტულად მაქვს შემუშავებული ტურისტული მარშრუტები, ასევე განხილულია რეგიონის ბუნებრივი, კულტურული, მატერიალური თუ არამატერიალური რესურსები. ძალიან საინტერესო გამოვიდა, მაგალითად, ჰაიკინგისა და ტრეკინგის ფორმები, რაც შორ მანძილებზე ფეხით სიარულს გულისხმობს და ასევე საბანაკოდ გასვლა ჩვენს ულამაზეს ადგილებში, რაც არის ძალიან საინტერესო და ამავე დროს შემეცნებითი პროცესი.

ჩემმა პროექტმა დაიმსახურა უმაღლესი შეფასება, რადგან იგი აკმაყოფილებს ყველა მოცემულ კრიტერიუმს, რაც საჭიროა პროექტის უმაღლესი ქულით შეფასებისათვის. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულოა და ნამდვილად ვამაყობ ამით.

**- გავრცელებულმა პანდემიამ არ შეგიშალა ხელი პროექტზე მუშაობაში?**

– პარადოქსია, მაგრამ პირიქით მოხდა. პროექტზე მუშაობა დაემთხვა პანდემიის პერიოდს, როდესაც მიმდინარეობდა ონლაინ სწავლება, რაც ჩემთვის გულისხმობდა ხაშურში ყოფნას. ეს აღმოჩნდა იდეალური ვარიანტი ჩემი პროექტის განხორციელებისათვის, რადგანაც პირისპირ შევხვდი იმ ადამიანებს, რომლებიც ფლობდნენ ჩემთვის საჭირო ინფორმაციებს. თქვენი გაზეთის მეშვეობით, მინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადო ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს, ბ-ნ თამაზ ლაცაბიძესა და ბ-ნ ჯონი ქიტიაშვილს, ასევე ხაშურის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელს ბ-ნ კონსტანტინე ფრუიძეს, ეკონომიკის სამსახურის უფროსს ბ-ნ სერგო ლალიაშვილს დახმარებისათვის და განსაკუთრებით კი თქვენ, რომ დაინტერესდით ჩემი პროექტით და მომეცით საშუალება თითოეულ ხაშურელამდე მიმეტანა ჩემი ეს ნააზრევი.

**- როგორ ფიქრობ, რა არის ის, რისთვისაც ტურისტი აუცილებლად უნდა ჩამოვიდეს ჩვენს მუნიციპალიტეტში?**

–მინდა, მოკლედ ვთქვა, თუ როგორ ვხედავ ხაშურში ტურიზმის განვითარებას. ტურიზმი მოიცავს სხვადასხვა ტურისტულ აქტივობებს: სამკურნალო ტურიზმი, ეკოტურიზმი, კულტურულ-რეკრეაციული ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი, აგროტურიზმი, პილიგრიმული ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი და სხვ. ხაშურის მაგალითზე კი, შესანიშნავია სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება და ჩემი ტურისტული მარშრუტებიც სწორედ ამ მიმართულებისაა.

(დასასრული VI გვერდზე)

(დასასრული)

-ახალი პროექტი -

## ხაშურს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს

კერძოდ, ხაშურის შემოგარენში დავგეგმე ტური, რომელიც ჰაიკინგსა და ტრეკინგს ეკუთვნის, რაც ფეხით ხანგრძლივ, ენერგიულ სიარულს გულისხმობს და მსგავსი მარშრუტები განხორციელდება მაგალითად, სოფელ ბიჯნისში, ტაბაკლდეს ჩანჩქერთან მისასვლელად, კოდიწყაროს ტბა, მანძილით 5კმ, სირთულით მარტივი, სადაც არის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი სიახლოვეს და პატარა ტბა სათევზაოდ, ასევე საინტერესო მარშრუტია ღორინამკალის მთამდე მისასვლელი, სირთულით ესეც მარტივი, 8კმ სიგრძის და სოფელ ხცისში მდებარე ყორანქედი, სადაც ასევე არის მონასტერი მოსალოცად და საკემპინგე ადგილი.

წრომის ტაძარი

მარშრუტები ასევე მოიცავს ტურისტების ჩართულობას ადგილობრივ დღესასწაულებში, რაც ძალიან საინტერესო და ახალი იქნება მათთვის. კერძოდ, ხაშურ-ქალაქობა, ულუმბოს მონასტრის მოლოცვა მარიამობას, ლესიაობა- დაბა სურამში, ამაღლება და ამაღლების ეკლესიის მოლოცვა, ყიფიანობა- სოფელ ქვიშხეთში, რომელიც დიმიტრი ყიფიანის ხსოვნის აღსანიშნავად იმართება ყოველ წელს და მთაწმინდობა, სადაც მოსახლეობა ადის მთაწმინდაზე, ასევე მოლოცვის მიზნით.

პოტენციურ ტურისტული პროდუქტების შეთავაზებებს რაც შეეხება, ჩემი რეკომენდაციებიდან ერთ-ერთი გასტრო-მასტერკლასებია, რადგანაც თუ კი ტურისტი მოდის ერთი კონკრეტული რეგიონისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებებისა და ადგილების გაცნობისათვისათვის, ხაშურში ყოფნისას მათთვის საინტერესო იქნებოდა ნაზუქების მასტერკლასი ნებისმიერი ტიპის ტურისტისათვის, ყველამ ვიცით, რომ სურამი სწორედ რომ ნაზუქებითაა განთქმული. ასევე, ხაშური ჰამაკებით, თექით და ხის ნაკეთობებითაა ცნობილი და მომწოდებლებსაც მოვუწოდებთ მათი ეს აქტივობები ტურისტებსაც შესთავაზონ. ეს ყველაფერი კი- ორმხრივად მომგებიანი და საინტერესო იქნებოდა.

გასულ წლებში, საქართველოს მილიონობით ტურისტი სტუმრობდა სხვადასხვა მიზნებითა და ინტერესებით. ტურისტებმა მოიცვეს საქართველოს თითქმის ყოველი მხარე და რეგიონი, მაგრამ ხაშურის მაგალითზე ეს მონაცემები ძალიან მწირია. კერძოდ, მოპოვებული ინფორმაციით, გასულ წელს ხაშურს 50-მდე ტურისტი ჰყავდა (ოფიციალური მონაცემების მიღება სამწუხაროდ შეუძლებელია ისეთი წყაროებიდან როგორიცაა მაგალითად საქსტატი ან სხვა), მათი დაინტერესება კი, ქართულ-იტალიურმა ექსპედიციამ გამოიწვია, სადაც აღმოჩენილი 6000-მდე არქეოლოგიური მასალა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება, ნაწილი კი- გომში. მუზეუმი მთლიანად 80000-ზე მეტ ექსპონატს ფლობს, რაც ყველას გაოცებასა და გაკვირვებას იწვევს.

თავდაპირველად, ხაშურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, მუშაობა 1976 წელს დაიწყო წაღვლის სამაროვანზე და საციხურის გორა-ნამოსახლარზე, 1984 წელს კი- ნაცარგორის სამაროვანზე. ამ ყველაფერს კი ბაზა- სოფელ გომში ჰქონდა, სადაც დღემდე, მოპოვებული ნიმუშების ნაწილი ინახება. ამ ყველაფრის შემდეგ, ნაცარგორის ნამოსახლარი განსაკუთრებულ ადგილს იმკვიდრებს კაცობრიობის ადრეული საფეხურების ძეგლთა შორის.

მთლიანად, მუზეუმს, მათ დროებით გამოფენებზე, თვიურად 100-ზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავს.

სოფელ ალში, კერძოდ კი ნასაყიდლიანთ ვენახის ტერიტორიაზე, აღმოჩენილია საქართველოში ერთადერთი ჩინური მონეტა, რომელიც გამოირჩევა ზედ ძალიან საინტერესო წარწერით „ცინ იუან ტუნ ბაო“ ანუ „ბედნიერი წამოწყებების ეპოქის მოარული მონეტა“.

ვინაიდან, ხაშური მეტად გამორჩეულია არქეოლოგიური ადგილების სიმრავლით და სწორედ ამიტომაც, ჩემი ერთ-ერთი ტურისტული მარშრუტი ამ ისტორიულ ადგილებშიც დავგეგმე, სადაც ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მოინახულონ სოფელი ალი და ალის ციხე, ნაურიალის ნამოსახლარი, პლენის ნასახლარი, ნასაყიდლიანთ ვენახი, წაღვლის გორა-ნამოსახლარი და ნაცარგორის გორა-ნამოსახლარი.

ქვიშხეთის მთაწმინდა

დასასრულ ერთს დავსძენთ მხოლოდ: გვიხარია, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის ტურისტული პოეტნციალის გაზრდაში ახალი თაობა ფართოდ ჩაერთო. ამის დასტური ელენეს მაგალითიცაა. ასეთების ენერგია და შემართება კი ერთგვარი გარანტია, რომ ისინი ამ დასახულ მიზანს უთუოდ მიიყვანენ ბოლომდე.

თ. ჯავახიშვილი

## ლანი (ტახო) გველესიანის ხსოვნას

იცხოვრა, იღვაწა, დატოვა ნათელი კვალი, კარგი სახელი და უფალმა თავისთან იხმო... ძალიან მოკლედ ასე შეიძლება შეფასდეს მართლაც შესანიშნავი პიროვნების ლანი გველესიანის განვლილი გზა. ტახოდ იცნობდა მთელი ხაშური და არა მარტო. იცნობდა, როგორც დიდებულ კაცს, ბრწყინვალ ოჯახის პატრონს, კარგ მეუღლეს და მამას და განუმეორებელ მეგობარს. ცალკე თემაა მისი ხელოვნებასთან, ქართულ ხელოვნებასთან კავშირი. ანსამბლ "შვიდკაცას" ღირსეული წევრი იყო მისი შექმნის დღიდან-1987 წლიდან მოყოლებული. იმ " შვიდკაცასი", რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ხაშურის ისტორიაში და ვარსკვლავში, რომელიც ქალაქმა ამ ანსამბლს გაუხსნა, ტახოს გულიც ძევს. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, საქართველოში ფუსტების ინსტიტუტი არსებობდა, ფუსტები ქვეყნის საგანძურის მცველები იყვნენ და თუ დღეს ჩვენი ქვეყანა მრავალი უძვირფასესი არტეფაქტით იწონებს თავს, სწორედ ფუსტების დამსახურებაა. ტახოც, თავის მეგობრებთან ერთად, ერთგვარი ფუსტი იყო, ოღონდ ხელოვნების ფუსტი, ქართული ფოლკლორის მცველი. ერთი სიამოვნება იყო მისი ხავერდოვანი ხმის მოსმენა, ერთი ბედნიერება იყო მის გვერდით დგომა. მისი სახით, უკვე მეოთხე წევრი გამოაკლდა "შვიდკაცას", თუმცა ანსამბლი მაინც ფეხზე დგას და ძველი და ახალი წევრები ყველაფერს აკეთებენ, რომ წასულების ნათელ ხსოვნას ჩრდილი არ მიადგეს. სამწუხარია, რომ ტახო გველესიანი ჩვენს გვერდით აღარაა, სამწუხაროა, რომ ასეთი პიროვნებები მიდიან და თითქმის შეუვსებელ სიცარიელეს ტოვებენ.. თავს ვხრით მისი ხსოვნის წინაშე, უფალმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

მეგობრები

## D თემურ მელიქიძის ხსოვნას

კიდევ ერთი ღირსეული კაცი დააკლდა ჩვენს მუნიციპალიტეტს. თუმცა, არა, ასეთი ადამიანების მასშტაბი უფრო ფართოა და მხოლოდ ერთი კონკრეტული რაიონის საზღვრები ძალიან მცირეა მათთვის. დიდოსტატი მშენებელი, უმაღლესი დონის სპეციალისტი, პროფესიონალი-ასეთი იყო თემო მელიქიძე, რომელმაც 50 წელი შეალია საყვარელ საქმეს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დედამიწაზე უფლის მიერ მასზე დაკისრებული მისია პირნათლად შეასრულა. ცნობილი სენტენცია - „შენებაშია ვნება და არა აშენებულით ტკბობაში“. აბსოლუტური სიზუსტით მიესადაგებოდა თემოს ხასიათს. მთელი ცხოვრება ქმნიდა, აგებდა, აშენებდა... მხოლოდ მცირე ჩამონათვალიც საკმარისი იქნება იმის გასაგებად, თუ რამდენი მოასწრო ამ ხნის მანძილზე: 8 სართულიანი კორპუსები ხაშურში, ტკოცის, ვაყის სკოლები, ტაშისკრის სკოლა-ინტერნატი, სურამის ბავშვთა სახლი, ქარელში მეკურდღლეობის კომპლექსი, სურამის №14 პროფსასწავლებლის საერთო საცხოვრებელი და ლაბორატორიული კორპუსები, ახალქალაქში – ეკოემიგრანტების სახლები, ქურთაში, მიწისძვრით დაზარალებულთა სახლები, სურამში – კვირაცხოველის ტაძარი და სხვა... რამდენჯერ მომხდარა, რომელიმე კომპანიას, ტენდერში გამარჯვების შემდეგ, სამუშაოები ვერ შეუსრულებია და ხარისხი ძალიან მდარე ყოფილა. თემო იყო მაშინ მხსნელი. უხმობდნენ და ისიც უმოკლეს ვადებში ასწორებდა ხარვეზებს, სხვის დაშვებულ შეცდომებს. მთელი ცხოვრება სიკეთეს ქმნიდა, მუჭა-მუჭა აგროვებდა ამ მადლს და უშურველად გასცემდა. ბრწყინვალე ოჯახიც შექმნა – მეუღლე, შვილები ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები არიან და თემოს დატოვებული კვალის ღირსეული გამგრძელებლებიც.

ორმოცი დღე გავიდა, რაც თემურ მელიქიძე ზეციურ საქართველოს შეერია. მძიმეა დანაკლისი, მძიმე და აუნაზღაურებელი ჩვენთვის. ვაცილებთ მის ლამაზ სულს ზეცაში და მეოხად ვუდგებით უფალს, რომ ნათელი არ მოკლებოდეს მარადიულ საუფლოში.

მეგობრები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.